ენაბორძიკის სიმძიმის შესაფასებელი ინსტრუმენტის - მეოთხე გამოცემა (SSI-4) ადაპტაცია და ვალიდაცია 6-დან 12 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებისთვის

სალომე ჭყონია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

სარჩევი

აბსტრაქტი 3

Abstract 5

ლიტერატურის მიმოხილვა

ენაბორძიკის შეფასებასთან დაკავშირებული გამოწვევები 7

ფსიქოლინგვისტური თეორიები ენაბორძიკის შესახებ 10

ენაბორძიკის მქონე ბავშვების მშობელთა აღქმა ენაბორძიკის შესახებ 13

ენის ბორძიკის გავლენა ენაბორძიკის მქონე ადამიანებზე 14

ენაბორძიკის მქონე ბავშვების აღქმა თავიანთი მდგომარეობის მიმართ 16

ენაბორძიკის შეფასების ინსტრუმენტები 18

ენაბორძიკის სიმძიმის შესაფასებელი ინსტრუმენტი (SSI) 21

ენაბორძიკის სიმძიმის ინსტრუმენტის - მეოთხე გამოცემა (SSI-4) ადაპტაცია და ვალიდაცია თურქეთსა და ირანში 25

კვლევის მეთოდი 26

მონაწილეთა შერჩევა: 26

პროცედურა 27

შედეგების ანალიზი 31

დისკუსია 35

დასკვნა 38

კვლევის ღირებულება და შეზღუდვები 39

გამოყენებული ლიტერატურა 40

დანართი 1 46

აბსტრაქტი

ენაბორძიკის სიმძიმის შესაფასებლად საჭიროა სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომელიც სანდოდ გაზომავს ენაბორძიკის გამოვლენის სიხშირეს, ხანგრძლივობას, ინდივიდის მეტყველების ბუნებრიობასა და იმ ფიზიკურ თანმხლებებს, რომლებიც თან ახლავს ენაბორძიკს. ასეთ სანდო ინსტრუმენტს წარმოადგენს ენაბორძიკის სიმძიმის შესაფასებელი ინსტრუმენტი, მეოთხე გამოცემა SSI-4, რომელიც 2009 წელს შეიქმნა. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს SSI-4-ის ადაპტაციასა და ვალიდაციას 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, კერძოდ, მეტყველების მოქნილობის შესაფასებლად ენობრივად და კულტურულად შესატყვისი სასტიმულო მასალის შემუშავებისა და მოცემული მასალის ეფექტურობის შეფასების გზით. შეირჩა 13 ენაბორძიკის მქონე და 13 მეტყველების ტიპური მოქნილობის მქონე ბავშვები, რომლებიც გადანაწილდნენ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. სულ სამი ასაკობრივი ჯფუფი გამოიყო: 6-7 წელი - არამკითხველები, რომელთა შეფასების პროცესში გამოყენებული იქნა ისეთი ტიპის სურათები, რომლებზეც რაღაც არასწორია ან უადგილოა და 8-9 და 10-11 წლის მკითხველთა ჯგუფი, რომლებისთვისაც ორ ეტაპად ჩატარდა სესია. პირველ ეტაპზე მათი ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი ტექსტები წაიკითხეს, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავდა ზეპირ მეტყველებას მათთვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე. შეფასების შედეგებისა და ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ ენაბორძიკის სიმძიმის შესაფასებელი ინსტრუმენტის - მეოთხე გამოცემა (SSI-4), ადაპტაციის პროცესში შერჩეული საკითხავი მასალა (ტექსტები) იძლევა ტიპური მოუქნელობისა და ენაბორძიკისთვის დამახასიათებელი მოუქნელობის დიფერენცირების შესაძლებლობას. კვლევის შედეგების მიხედვით, კრონბახის ალფას მნიშვნელობამ შეადგინა 0.911, რაც მიუთითებს ინსტრუმენტის მაღალ სანდოობაზე. მოცემული ინსტრუმენტის ქართული ვერსიის გამოყენებით შესაძლებელია ენაბორძიკის სიმძიმის დადგენა ქართულენოვან პოპულაციაში.

საკვანძო სიტყვები: ენაბორძიკი, ენაბორძიკის სიმძიმის ინსტრუმენტი - მეოთხე გამოცემა, SSI-4, ენაბორძიკის სიმძიმე.

Abstract

To assess the severity of stuttering, a standardized instrument is required that reliably measures the frequency and duration of stuttering, the naturalness of the individual's speech, and the physical concomitants that accompany stuttering. Such a reliable instrument is the Stuttering Severity Instrument, Fourth Edition (SSI-4), which was created in 2009. The study in question aims at the adaptation and validation of SSI-4 for children aged 6 to 12 years, in particular, to assess speech fluency through the development of linguistically and culturally relevant stimulus material and the evaluation of the effectiveness of this material. Children with stuttering and typical speech fluency were selected and distributed according to age groups. A total of three age groups were allocated: 6-7 years (non-readers), who were assessed using images indicating appropriateness or inappropriateness, and groups of 8-9 and 10-11 years (readers), for whom the assessment session was held in two stages. In the first stage, texts relevant to their age group were read, and in the second stage, oral speech on topics of interest and relevance to them was evaluated. According to the evaluation results and analysis, it was established that the SSI-4, with the reading material selected during the adaptation process, allows for the differentiation of typical speech fluency and stuttering characteristics. According to the results of the study, the value of Cronbach's alpha was 0.911, which indicates the high reliability of the instrument. Using the Georgian version of this instrument, it is possible to determine the severity of stuttering in the Georgian-speaking population.

Key words: Stuttering, Stuttering Severity Instrument - Fourth Edition, SSI-4, Stuttering Severity.